ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

საქართველო

ახალი გეგმა-ახალი შესაძლებლობები

წინამდებარე გეგმა მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და აღიარებულია ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პრინციპების შესაბამის დოკუმენტად. მთელი პასუხისმგებლობა გეგმის შინაარსობრივ მხარეზე ეკისრება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას.

სექტემბერი 2018 წელი.

მერის მიმართვა

მივესალმებით და მოხარული ვართ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მიეცა შესაძლებლობა ისეთ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობისა, როგორიცაა - ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება დიდ წილად დამოკიდებულია წარმატებულ, ზრდაზე ორიენტირებულ კერძო სექტორზე, რის ხელშეწყობასაც წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ისახავს მიზნად. ეს არის სპეციალური დანიშნულების დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება (M4EG)-ს პრინციპების შესაბამისად და ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებაზე. გეგმის განხორციელება მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენციები ევროკავშირის პროექტების მართვის მიმართულებით, განავითაროს კერძო სექტორი და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რისთვისაც მათ მინდა დიდი მადლობა გადაუხადო. ასევე მადლობა მინდა გადაუხადო „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ თბილისის სამდივნოს გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე გაწეული თანადგომისთვის.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, გამოთქვამს მზადყოფნას, რომ აქტიურად იქნებიან ჩართულნი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელების პროცესში.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი: ზაზა ცინცაძე
თანამდებობა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის
საინვესტიციო გარემოს განვითარების
განყოფილების უფროსი
მისამართი: ჩოხატაური წერეთლის ქ. #2
ტელეფონი: (+995)599190159 (+995)599097728
ელ-ფოსტა: contact@chokhatauri.ge
ვებ-ბგვერდი: chokhatauri.ge

1. მოკლე შეჯამება

ჩოხატაური გურიის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა. ტერიტორიის 65% ზეგნებსა და მთებს უკავია. მის სიახლოვესაა სარკინიზო კვანძები, პორტები და აეროპორტები. მუნიციპალიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი საწარმო ფუნქციონირებს ისეთ სექტორებში, როგორიცაა: მინერალური და მტკნარი წყლები, ხილის გადამამუშავებელი, ხე-ტყის დამამზადებელი და ჰიდრო ენერგეტიკა. გასულ წელს ექსპლუატაციაში შევიდა ერთი ჰიდროელექტროსადგური და მიმდინარე წელს დაიწყება ორი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ბოლო წლებში გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგების ზრდა-განვითარება როგორიცაა: მეთხილეობა, მეჩაიეობა, მეფუთკრეობა, ენდემური ჯიშების მევენახეობა და სხვა, რასაც დიდ წილად ხელი შეუწყო მოსახლეობის მხარდამჭერმა სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებმა. ტურისტული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტს გააჩნია მზარდი პოტენციალი, რასაც განაპირობებს ისეთი დამკვიდრებული სამკურნალო/რეკრეაციული იმიჯის მქონე კურორტები როგორიცაა ბახმარო და ნაბეღლავი. ასევე მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული და კულტურული ძეგლებითა და ტურისტული სანახაობებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 2017 წლის 13 ნოემბერს შეუერთდა ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. გეგმა შემუშავდა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობით „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობას.

მუნიციპალიტეტის მდიდარი ტურისტული და ზოგადად ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისთვის საჭიროა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის დარგების და მთლიანად ეკონომიკის სფეროში ინვესტირების შესაძლებლობების პრეზენტაცია, კურორტებზე და ღირსშესანიშნაობებზე ამორტიზებული და ხშირ შემთხვევაში არარსებული ინფრასტრუქტურის გამართვა. პერსპექტივაში მზარდი ტურისტული ნაკადის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სუსტად განვითარებული სასტუმრო და მომსახურების ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ამ სფეროში ინვესტორების მოზიდვით და ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესებით საოჯახო სასტუმრო ბიზნესის წარმოების კუთხით. ჩატარებული ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა ჩოხატაურის ხედვა - ჩოხატაური საცხოვრებლად და ტურისტებისთვის მიმზიდველი მუნიციპალიტეტია, სადაც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა და განვითარებულია მცირე და საშუალო ბიზნესი.

ხედვისა და მიზნების მისაღწევად დასახულია შემდეგი ღონისძიებები: ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარება, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძო სექტორის ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობა, უნარჩვევების ამაღლება სოფლის მეურენობის სფეროში და მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა. გეგმაში გათვალისწინებულია დაფინანსების მოცულობა და სავარაუდო წყაროები. გეგმა ფინანსურად მხარდაჭერილია ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებით, თუმცა აქტივობების გარკვეული ნაწილი საჭიროებს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას.

2. შინაარსი

0. მერის მიმართვა 2
1. მოკლე შეჯამება 3
2. შინაარსი 4
3. ცხრილებისა და გრაფიკების სია და აბრევიატურები 4
4. გეგმის შესავალი 5
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი. 6
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 7
6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 7
6.2 ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება 11
6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 13
6.4 წვდომა ფინანსებზე 14
6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა 15
6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები 16
6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა 16
6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 17
7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 19
8. ხედვა და მიზნები 22
9. სამოქმედო გეგმა 22
10. დაფინანსების სქემა 26
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 27

3.ცხრილებისა და გრაფიკების სია და აბრევიატურები

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 2: პრეზენტაციის ცხრილი კერძო სექტორის კომპანიებისთვის 10
ცხრილი 3: ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება 12
ცხრილი 4: ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები 14
ცხრილი 5: ფინანსების ხელმისაწვდომობა 15
ცხრილი 6: კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში (დანართი N1)-
ცხრილი 7: საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები 17
ცხრილი 8ა: კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაცია 17
ცხრილი 8ბ: როგორია ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ბალანსი - სისტემური ანალიზი 18
ცხრილი 9: როგორ აღიქვამენ მოქალაქეები თავის მუნიციპალიტეტს 20
ცხრილი 10. სამოქმედო გეგმის აღსაწერი ფორმა (დანართი N2)
ცხრილი 11: სამოქმედო გეგმა 23
ცხრილი 12: დაფინანსების სქემა 26
ცხრილი 13: ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა 27

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2015 წელი 8

დანართები

დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი N1 - ცხრილი 6: კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში
დანართი N2 - ცხრილი 10. სამოქმედო გეგმის აღსაწერი ფორმა-
დანართი N3 სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება ოქმი N1
დანართი N4 შეხვედრა საფინანსო სექტორთან ოქმი N2
დანართი N5 შეხვედრა კერძო სექტორთან ოქმი N3
დანართი N6 შეხვედრა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ოქმი N 4
დანართი N7 შეხვედრა არასამთავრობო სექტორი ოქმი N5
დანართი N8 ადგილობრივი საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობა ოქმი-

აბრევიატურები

M4EG -მერები ეკონომიკური ზრდისათვის
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი
SWOT ანალიზი - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი
ENPARD - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

4. გეგმის შესავალი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 2017 წლის 13 ნოემბერს შეუერთდა ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილში, გურიის რეგიონში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - დაბა ჩოხატაური. ტერიტორიის 65% ზეგნებსა და მთებს უკავია. მისი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტთან, რომელსაც ახორციელებს ოზურგეთისა და სამტრედიის რკინიგზის კვანძები, ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები. სიდიდით მეორე ქ. ქუთაისიდან მუნიციპალიტეტი დაშორებულია 60კმ 1სთ. სავალ გზაზე. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ერთ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი და გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. აქ განლაგებულია ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. უახლოესი აეროპორტი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტია, რომელიც მუნიციპალიტეტიდან დაშორებულია 35 კმ. იგი არის რეგიონში ერთადერთი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მომსახურებას. აეროპორტს ერთდროულად 600 მგზავრის მომსახურება შეუძლია.

მსხვილი საზღვაო პორტები მდებარეობს ქ. ბათუმსა და ქ.ფოთში 80-70 კმ მანძილზე. ისტორიულად ბათუმის პორტი კავკასიის რეგიონში ლოჯისტიკურ ცენტრს წარმოადგენს. აქ წარმოდგენილია სამგზავრო, საკონტეინერო, მშრალი ტვირთების ტერმინლები და ნავთობტერმინალი. ნავთობის გადაზიდვაში აქტიური როლის შესრულებით ბათუმის პორტი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კორიდორი გახდა.

ფოთის პორტი ერთ-ერთ მთავარ კვანძს წარმოადგენს „ტრასეკასა“ და სატრანზიტო დერეფნისათვის, რომელიც მოკლე გზით აკავშირებს ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა სამტრედია-ქობულეთი - 25 კმ-იანი მონაკვეთი. მუნიციპალიტეტი დედაქალაქიდან-თბილისიდან დაშორებულია 296 კმ-ით, საავტომობილო ტრანსპორტით მისი დაფარვა შესაძლებელია 4 სთ-ში.

სამუშაო ასაკის მოსახლეობა შეადგენს 12000 ადამიანს, რაც მთელი მოსახლეობის 64 % -ია. აქედან 6200 მამაკაცია და 5800 ქალია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მოიცავს 23 ტერიტორიულ ერთეულს რომელშიც გაერთიანებულია დაბა ჩოხატაური, 61 სოფელი და დაბა ბახმაროს საკურორტო-სარეკრიაციო ტერიტორია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2016 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არის 18,900 კაცი. დაბა ჩოხატაურში ცხოვრობს 1800 ადამიანი ხოლო სოფლებში ერთად აღებული 17100 ადამიანი. საშუალო სიმჭიდროვე - 29,86 კაც/კვ.კმ. მოსახლეობის საშუალო ასაკი შეადგენს 42 წელს. მამაკაცების საშუალო ასაკი - 40 წელს, ქალების - 45 წელს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წელს, 2006 წელთან შედარებით, შემცირებულია 17 %-ით, რაც მეტწილად განპირობებულია მიგრაციული ნაკადებით. 2006 წელს აღირიცხებოდა 22800 ადამიანი, ხოლო 2014 წლის მონაცენებით კი 18900 ადამიანი. მიგრაციული პროცესები დღეის მდგომარეობითაც გრძელდება. მუნიციპალიტეტში მიგრაციის ორი ტიპი არსებობს: მთიდან ბარში, მუნიციპალიტეტიდან ქალაქში და საზღვარგარეთ. რაც ძირითადად გამოწვეულია, ეკონომიკური ფაქტორებით.

ადგილობრივ ეკონომიკურ განვთარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, რის შედეგადაც უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს კერძო სექტორი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და შემცირდეს უმუშევრობა.

ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მუნიციპალიტეტს აძლევს საშუალებას გააუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა საკუთარი შესაძლებლობების დანახვის და გაანალიზების ხარჯზე, მოახდინოს დადებითი ცვლილების განხორციელება საკუთარი შესაძლებლობების გაფართოვებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით.

2016 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი როგორიცაა (პრიორიტეტი2) ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თანხვედრაში მოდის (M4EG) მიზნებთან. (LED) გეგმა უკავშირდება „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021“-ის VI თავს (რეგიონული განვითარების პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები), რომელიც შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ გეგმა შემუშავდა სპეციალურად ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვის მიზნით. ის არ არის მუნიციპალიტეტის ყოვლისმომცველი სტრატეგიული განვითარების გეგმა და არ ანაცვლებს სხვა დანარჩენ გეგმებს, იგი არის სპეციალური დანიშნულების დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება (M4EG)-ს პრინციპების შესაბამისად, ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა მიღწეული იქნას ზრდა, განვითარება, დასაქმება და იქნება გამოყენებული პრაქტიკაში.

გეგმა შემუშავდა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობით „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობას.

(LED) გეგმის შემუშავება დასრულდება 2018 წელს და იგი ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნება 2019-2020 წლეების მუნიციპალურ ბიუჯეტში.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.

მუნიციპალიტეტში, ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პრინციპების თანახმად, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით, ჩამოყალიბდა ადგილობრივი საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობა სადაც თანასწორობისა და პროფესიონალიზმის პრინციპით წარმოდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის ისეთის როგორებიცაა - საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, საფინანსო, სასტუმრო და ტურიზმი, არასამთავრობო სექტორის და საგანმანათლებლო - კვლევითი ინსტიტუტების, კერძოდ სკოლების და რესურსცენტრის მესვეურები. პარტნიორობა შეთანხმდა უშუალოდ გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ადამიანების კანდიდატურაზე და ჩამოაყალიბა ოთხ კაციანი სამუშაო ჯგუფი ეკონომიკური განვითარების ოფიცრის ხელმძღვანელობით, რომელიც შედგება ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისაგან, რაც დოკუმენტალურად დამოწმებული იქნა მერის მიერ. შემუშავებული გეგმა სამუშაო ჯგუფისა და პარტნიორობის კოოპერაციის შედეგია, რომლის მიზანი იყო გეგმა შექმნილიყო ყველა დაინტერესებული მხარისა და საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობით. ჯგუფმა 10-მდე შეხვედრები გამართა კერძო სექტორის (90), საბანკო სექტორის (10), არასამთავრობო ორგანიზაციების (15) და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს (50) წარმომადგენლებთან, რაც საფუძვლად დაედო პარტნიორობისა და ჯქუფის მიერ ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის შემუშავებას. გეგმაზე მუშაობის პროცესი სამუშაო ჯგუფსა და პარტნიორობას შორის მჭიდრო კოოპერაციისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით მიმდინარეობდა.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეგმის მომზადებაში, რადგან თითოეული მათგანის მოსაზრებებმა და გამოცდილებამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ გეგმაში აგვესახა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების წინაშე

არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. შეხვედრები ეფუძვნებოდა სპეციალური კითხვარებითა და დისკუსიით ინფორმაციის შეგროვება-ანალიზს.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის წამყვანი დარგია. მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის 82509 ჰა-ის 21%-ს 17,326 ჰა. აქედან მრავალწლიანი კულტურებით დატვირთულია 2,947 ჰა ერთწლიანი კულტურებით - 2,532 ჰა დანარჩენი 11,847 ჰა განკუთვნილია მეცხოველეობისათვის სათიბ საძოვრის სახით. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების 43% კერძო საკუთრებაა, დანარჩენი 57% სახელმწიფო კუთვნილებაა.

დღეის მდგომარეობით სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს წარმოადგენს თხილის წარმოება, მეღვინეობა მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს მზარდი პოტენციალი გააჩნია და საჭიროა ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების თანამედროვე ცოდნით, ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა, რათა მივიღოთ მაღალ ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ასევე მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეხილეობა, მემარცვლეობა (სიმინდი), მეციტრუსეობა და მეჩაიეობა. ერთწლიანი ნათესების დიდი წილი სიმინდის კულტურაზე მოდის, 2,485 ჰა დაკავებულია სიმინდის ნათესებით. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წილად მოდის 48 ჰა, ძირითადად მთის სოფლებში 27 ჰა-ზე მოჰყავთ კარტოფილი, ხოლო 17 ჰა დაკავებულია სხვადასხვა სახის კულტურებით.

მუნიციპალიტეტში სულ 2014 წლისათვის იყო 9,950 სული მსხვილფეხა პირუტყვი 6,200 ფურით, 1,700 მდე თხა ცხვარი და 1,300 ზე მეტი ღორი. აღნიშნული დარგი არ სარგებლბს საწარმოო დანიშნულებით და უმეტესად საოჯახო დანიშნულებით გამოიყენება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მიწის რესურსი იძლევა დარგის უფრო მეტად განვითარების საშუალებას.

მუნიციპალიტეტში სულ აღრიცხულია 225 ფერმერული მეურნეობა. მათ შორის, მეცხოველეობით დაკავებულია 43 (იგულისხმება ვისაც ყავს 30-ზე მეტი სული) ფერმერი, მეფუტკრეობით 35 (იგულისხმება ვისაც ყავს 30-ზე მეტი ოჯახი) მეფუტკრე, მეთევზეობით 2 ფერმერი, მეთხილეობით 157 (იგულისხმება ვისაც აქვს 1 ჰექ.-ზე მეტი ფართობი) ფერმერი, ხოლო ერთწლიანი კულტურების წარმოება სოფლებში არსებული ყველა ფერმერული მეურნეობის პარალელური დარგია. აღსანისნავია, რომ ტოფოგრაფიისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო მიწები ფრაგმენტირებულია და ერთმანეთისგან დაშორებულია, რაც ფერმების გაერთიანებას და გაძლიერებას ართულებს. მოყვანილი პროდუქტების უმეტესობა ადგილობრივი მოხმარებისთვისაა. 50%-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იმპორტირებულია საზღვარგარეთიდან. ადგილობრივი მწარმოებლები ვერ ახერხებენ კონკურენციაში შესვლას იმპორტირებულ პროდუქციასთან ახალი ტექნოლოგიების არცოდნისა და მათზე ხელმიუწვდომლობის გამო.

მცირე საოჯახო/საკარმიდამო მეურნეობებში დაკავებულია 8500 ადამიანი რაც სამუშაო ასაკის მოსახლეობის 80,6%-ია. ისინი თავიანთი მცირე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დამუშავებით არიან დაკავებულნი. ეს დარგი არ არის საკმარისად მოდერნიზებული და ტექნიკურად აღჭურვილი. უმეტესწილად საოჯახო მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია არ არის განკუთვნილი გასაყიდათ და ის გამოიყენება ოჯახის გამოსაკვებათ. აქ დიდია დისპროპორცია სფეროში დასაქმებულთა რაოდენობასა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობას შორის.

მუნიციპალიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ანალიზი ემყარება ქვეყნის საქსტატის მონაცემებს, რომელიც დინამიკისთვის განხილულია 2014-2016 წლებზე. უფრო გრძელვადიანი პერიოდის მონაცემები ნაკლებად ხელმისაწვდომია.

საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელი 2015 წელს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 25,2 მლნ. ევროა, რაც წინა წლის მონაცემს აღემატება 8%-ით და რეგიონის მონაცემის 21%-ს შეადგენს.

დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 2300 პირს (საჯარო სექტორი- 1200, კერძო- 1100). დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საბიუჯეტო სამსახურებზე მოდის. შედარებით ნაკლები კი კერძო სექტორზე. უმუშევართა რაოდენობა შეადგენს 9700 ადამიანს, აქედან აღსანიშნავია, რომ 8500 ადამიანი დაკვებულია მცირე საკარმიდამო მეურნეობით.

2015 წლის საქსტატის მონაცემებით მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვებამ 21,2 მილიონი ევრო შეადგინა, რომელიც ცოტათი ნაკლებია წინა წლის მონაცემზე და რეგიონის იგივე მაჩვენებლის მხოლოდ 27%-ს შეადგენს. შექმნილი დამატებითი ღირებულება 10,6 მილ ევროა. ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 0,8 მილ. ევრო შეადგინა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 650 კაცია, დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა კი 740 კაცია. მათი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებაა 300 ევროა.

მუნიციპალიტეტში 2015 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოქმედია 360 საწარმო, აქედან 30 საშუალო და 2 მსხვილია.



გრაფიკი 1: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2015 წელი.

ჩოხატაურში 2014-2017 წლეებში ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 100 შეადგინა. ასეთი ზრდა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - ფარგლებში დაფინანსებული ბიზნესებით.

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს ქმნის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო და ბუნებრივი წიაღისეული. აღსანიშანვია მუნიციპალიტეტის ჰიდროენერგეტიკული რესურსი რასაც მთის ჩქარი მდინარეები უზრუნველყოფენ. კერძოდ: 2013 წელს სოფელ ხევში დაიწყო მცირე ჰესის (ნაბეღლავჰესი) სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დასრულდა 2017 წელს. ჰესი გამოიმუშავებს 2 მგ/ვატ ელექტროენერგიას და დასაქმებულია 10 ადგილობრივი ადამიანი. ამჟამად მიმდინარეობს ერთი და დაგეგმილია 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 3 სხვადასხვა მდინარეზე. ჰესების საერთო დაგეგმილი სიმძლავრე 65 მგვტ-ია, ხოლო პროექტების განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა 78 მილიონ ევროს შეადგენს. ჰესების დადგმით შეიქმნება 30-40 ახალი სამუშაო ადგილი, რაც უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტდება.

მუნიციპალიტეტში მოწინავე საწარმოა სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი". (მინერალური წყლის „ნაბეღლავის" ჩამოსასხმელი ქარხანა) სადაც დასაქმებულია 100 მდე ადამიანი, დასაქმებულთა 98% ადგილობრივია.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე ეფექტური კომპანია წლიური ბრუნვის, შემოსავლების, ზომის, ზრდის ტემპის, ადგილობრივი ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის და რეგიონის უნიკალურ პროდუქტის კუთხით, არის სააქციო საზოგადოება წყალი მარგებელი. კომპანიამ 2016 წლიდან დაიწყოთავისი ბიზნესის გაფართოება. 2017 წლიდან მან ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელ კომპანია „რაუხთან“ ერთობლივი წარმოება დაიწყო. 2017 წელს ახალი, მრავალპროფილური

უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გაიხსნა. შედეგად წარმოების მოცულობა რამდენჯერმე გაიზარდა. ქარხანაში იწარმოება, როგორც მინერალური წყალი „ნაბეღლავი“ და წყაროს წყალი „ბახმარო“, ასევე „რაუხის“ წვენები და სხვა უალკოჰოლო სასმელები. ადგილობრივ ბაზარზე წარმატების გარდა, ნაბეღლავმა მოწონება საზღვრებს გარეთაც დაიმსახურა და დღეისათვის მას მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში შეხვდებით, მათ შორის: ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრ. ამერიკაში. ხოლო კომპანია/სექტორი რომელიც ყველაზე მეტად ეყრდნობა ადგილობრივ მომწოდებლებსა და რესურსებს ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის აგების პროცესში არის შპს. კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო ჩოხატაურის ხილის გადამამუშავებელი საწარმო „ნენა“. მისი მშენებლობა 2013 წელს დაიწყოდა სადაც განხორციელდა 0,8 მლ. ევროს ინვესტიცია და დღეის მდგომარეობით უკვე ფუნქციონირებს. საწარმო ამუშავებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით და საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიწოდებულ ხილს. აქ დასაქმებულია 30 ადგილობრივი ადამიანი. საწარმოში 30-მდე სახეობის მურაბა, ჯემი, კომპოტი და საწებელი იწარმოება. მისი პროდუქცია იყიდება ქვეყნის მასშტაბით და გადის ექსპორტზე ჩინეთში, ჩეხეთსა და რუსეთში. 2018 წელს ხილის გადამამუშავებელი საწარმო „ნენა“ ხსნის მზა პროდუქციის სარელიზაციო ობიექტს, რაზეც მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

მუნიციპალიტეტის დაბაში 2014-2018 წლებში დაიწყო და დასრულდა შიდა გზების ასფალტო-ბეტონით მოწყობა. მთლიანად დასრულებულია გაზიფიცირება, წყალ მომარაგება და ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში წარმოებისა და ვაჭრობის კიდევ უფრო განვითარებას.

მუნიციპალიტეტშია ტურიზმის კუთხით გამორჩეული, ევროპაში ყველაზე მაღალი კურორტი ბახმარო, რომელიც ზღვის დონიდან 2,050 მეტრზე აჭარა-გურიის მთაგრეხილზე მდებარეობს. ბახმაროს ტერიტორია ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს, რომელიც გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი მარად მწვანე მცენარეებით და ხასიათდება გამაჯანსაღებელი ჰავით. ბახმაროს უნიკალური კლიმატი საუკეთესო საშუალებაა იმუნიტეტის გასაძლიერებლად და ორგანიზმის გასაკაჟებლად, შესანიშნავ შედეგს იძლევა ტუბერკულოზისა და სასუნთქი გზების სხვა დაავადებების მკურნალობის პროცესში. ბახმაროს ჰავის უნიკალურობას, პირველ ყოვლისა, მისი მდებარეობა განაპირობებს. დასავლეთით კურორტი ღიაა, რისი წყალობითაც ხეობაში ზღვის თბილი ქარი იჭრება ეს კი, თავის მხრივ ზღვისა და მთის კლიმატის საუკეთესო შეხამებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ ბახმაროს, როგორც სამთო-სათხილამურო კურორტად განვითარების პერსპექტივა. აქ მაღალია ყოველწლიურ დამსვენებელთა რიცხვი, რაც 15000 დან 18000 ტურისტის ფარგლებში მერყეობს. 2018 წელს ჩეხური კომპანია შპს „მაუნთინ სკი“ კურორტ ბახმაროში გეგმავს 40 ნომრიან სასტუმროს და 90 ადგილიან რესტორნის მშენებლობას რაზეც მუნიციპალიტეტში გაკეთებულია განაცხადი ტერიტორიის გამოყოფის შესახებ.

მუნიციპალიტეტში 470 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს გუბაზეულის ხეობის ულამაზესი ბალნეოლოგიური კურორტი ნაბეღლავი, რომელიც ხასიათდება უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით, ძვირფასი მინერალური სამკურნალო წყლებით. ნაბეღლავის წყალი ბორჯომის წყლის ტიპისაა, რომელიც წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, თირკმელების, ძვალ-სახსრების, კანის, ნერვიული სისტემის დაავადების სამკურნალოდ.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ეტაპზე ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის რეალიზებული. ტურისტული მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად აუცილებლია საბაზისო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება, შესაბამისი ზონების ტურისტულ რუქებსა და მარშრუტებში ასახვა, საინფორმაციო კამპანია და ტურისტული პოტენციალის პოზიციონირება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

მუნიციპალიტეტის პოტენციალი ეკონომიკური განვიტარების კუთხით ეყრდნობა ისეთ მზარდ სექტორებს და შესაძლებლობებს, როგორიცაა: კურორტ ბახმაროსა და ღირსშესანიშნაობების ტურისტული განვითარება, მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების (ხე ტყე, მინერალური და მტკნარი, ბალნეოლოგიური: გოგირდოვანი, სულფიდური ნახშირმჟავას ტიპის წყლები. ჰიდრო რესურსი მცირე ჰესებისთვის) ათვისება, მუნიციპალიტეტში არსებული ვაზის უნიკალური ენდემური ჯიშების მოშენება, მეჩაიეობის, მეთხილეობის მეფუტკრეობის და მეცხოველეობის განვითარება.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებისთვის. ტურისტულ ობიექტებზე და ღირსშესანიშნაობებზე განუვითარებელი ინფრასტრუქტურა კერძო სექტორს არ აძლევს ბიზნესის წამოწყების საშუალებას და ინტერესს. ინვესტიციების სიმცირე ხელს უშლის სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგების განვითარებას, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების ათვისებას. შესაბამისად ვერ ხერხდება ადგილობრივი ადამიანური რესურსის გამოყენება, რაც იწვევს უმუშევრობას და მუნიციპალიტეტიდან სამუშაო ძალის გადინებას.

ცხრილი 2: პრეზენტაციის ცხრილი კერძო სექტორის კომპანიებისთვის

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	ბიზნეს ერთეულების რაოდენობა & პროცენტული წილი (კლასიფიკაციის მიხედვით)			
	მიკრო	მცირე	საშუალო	მსხვილი
სამრეწველო საქმიანობა		45 - 9,9%	8 - 21%	1- 100%
სოფლის მეურნეობა	2200 - 98%	233 - 51,2%	2 - 5,3%	
საცალო ვაჭრობა		102 - 22,4%	5 - 13,1%	
საბითუმო ვაჭრობა				
ბიზნეს სერვისები (ტრენინგი, კონსალტინგი, მარკეტინგული კვლევები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სარეკლამო მომსახურება, გამომცემლობა)			1 - 2,6%	
სამედიცინო სერვისები		6 - 1,3%	2 - 5,3%	
იურიდიული სერვისები ნოტარიუსი, ადვოკატი)	1 - 0,04%	1- 0,2%		
საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები)	10 - 0.4%	5 - 1,1%	2 -5,3%	
რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა.		4 - 0,9%	2 -5,3%	
სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა	15 - 0.7%	4 - 0,9%	1 -2,6%	
IT სერვისები	5 - 0.2%			

ტრანსპორტი		30 - 6,6%		
მშენებლობა, დეველოპერული ბიზნესი		25 - 5,5%	12 - 31,5%	
საკომუნიკაციო მომსახურება			3 -7,9%	
შემოქმედებითი სერვისები (დიზაინი, ფოტოგრაფია, ვიდეოგრაფია, ვებ-დიზაინი, სოციალური მედია, ღონისძიებების მართვა)	5 - 0.2%			
ნარჩენების გადამუშავება				
ტურიზმი	2 - 0.01%			
კულტურული მემკვიდრეობა (ამ ეტაპზე არაკომერციულია)	6 -0.%			
სხვა				

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება

მუნიციპალიტეტში არსებობს ადგილობრივი თანამშრომლობის წარმატებული ფორმები. მერიის შესაბამისი სამსახური, მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამებით სარგებლობისათვის აპლიკანტებს უწევს დახმარებას ბიზნეს იდეის შემუშავება-დარეგისტრირებაში, ბიზნეს გეგმის მომზადებაში და შემდგომ ანგარიშგებების წარდგენაში.

მერიაში აქტიურად ფუნქციონირებს შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭო - მერის სათათბირო ორგანო, რომელიც მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის დანერგვას და კოორდინაციას ახორციელებს. საბჭო კომპეტენციის ფარგლებში იცავს შშმპ უფლებებს, ხელს უწყობს შშმპ ღირსეულ თანაცხოვრებას, თანამშრომლობს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებთან შშმპ უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე აქტურად ფუნქციონირებს მერის მრჩეველთა საბჭო - მერის სათათბირო ორგანო, რომელიც თვეში ერთხელ იკრიბება და მსჯელობენ არსებული პრობლემების გამოვლენა გადაჭრის გზებზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა და მიმდინარეობს პირდაპირი ტრანსლიაცია საკრებულოს ფეისბუქგვერდზე. ასევე აღსანიშნავია მოქალაქეთათვის ერთი ფანჯრის პრინციპით საქმის წარმოება. მნიშვნელოვანია მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლობა „დანერგე საქართველოში“ და „ENPARD საქართველოში“ პროგრამების წარმატებულად განხორციელების საქმეში, რომელთა მიზანი მიკრო და მცირე მეწარმეების და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საგრანტო მხარდაჭერაა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, რაზეც წარსულში განხორციელებული არაერთი პროექტი მეტყველებს. ამჟამად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს „ზრდასრულთა განათლების ცენტრთან“ და „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან“. ამ უკანასკნეთან ერთად აქვს ევროკავშირის მიმდინარე პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“. პროექტი წარმოადგენს საჯარო, გამჭვირვალე და მჭიდრო თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობას და ყველა გურიის მუნიციპალიტეტს აერთიანებს. „ზრდასრულთა განათლების ცენტრს“ მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა უზურფრუქტით შენობა, სადაც დაინტერესებული პირები იძენენ სხვადასხვა უნარჩვევებს (თექა, კომპ. სწავლება, ბუღალტრული აღრიცხვა, მართვის მოწმობის სწავლება და ას.შ). ასევე შესაძლებელია უფასოდ საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა.

ცხრილი 3: ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება

სათაური და / ან ფუნქცია (სფერო/ საკითხი)	დაკავშირებული დაწესებულებები /პირები	მიღწევები (ასევე, მიუთითეთ, თუ როგორ მუშაობს - მაგ. "გეგმები", პროექტებს ახორციელებს, აწვდის მომსახურებას, მუდმივია ან სპეციალური/შემთხვევითია)	შეფასება: სასარგებლო ან უსარგებლო
მცირე ბიზნესის ხელშეწყობა	მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური; მეწარმეობის განვითარების სააგენტო; გრანტის მიმღები მეწარმე	სულ 2015-2017 წ. 40 ბენეფიციარი, აქედან 25 დაფინანსებული პირი. თანხა 50000 ევრო. პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო კულტურის განვითარებას ახალი საწარმოების შექმნის სტიმულირებისა და არსებული ოპერაციების გაფართოების ხელშეწყობით.	აღნიშნული პროგრამა სასარგებლოა, რადგან დაფინანსებულ ბენეფიციართა 80-90% აგრძელებს საქმიანობას და ვითარდება.
სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	ENPARD საქართველოში; სოფლის მეურნეობის სააგენტოს ადგილობრივი წარმომადგენლობა; გრანტის მიმღები ბენეფიციარები.	2014-2017 წლეებში დაფინანსდა 6 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი საერთო თანხით 137000 ევრო. 2013-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა.	იქიდან გამომდინარე, რომ ექვსივე კოოპერატივი წარმატებით ფუნქციონირებს და იზრდება, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა სასარგებლოა.
მოქალაქეთა ფართო ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	მერის მრჩეველთა საბჭო; შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭო	საბჭოები იკრიბება ყოველთვიურად და ანხორციელებენ დებულებით დადგენილ ამოცანებს.	თანამშრომლობა არის სასარგებლო.
არასამტავრობო სექტორი (ერთობლივი პროექტები მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების ჩართულეობით)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; „ზრდასრულთა განათლების ცენტრი"; „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი".	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, რაზეც წარსულში განხორციელებული არაერთი პროექტი მეტყველებს. ამჟამად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს „ზრდასრულთა განათლების ცენტრთან" და „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან". ამ უკანასკნეთან ერთად აქვს ევროკავშირის მიმდინარე პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის". „ზრდასრულთა განათლების ცენტრს" მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა უზურფრუქტით შენობა,	თანამშრომლობა არის სასარგებლო.

		სადაც დაინტერესებული პირები იძენენ სხვადასხვა უნარჩვევებს.	

შემდგარი თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ სხვადასხვა პროგრამებიდან მოზიდული ფინანსური სახსრები და თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული და მიმდინარე პროექტები. მიუხედავად ამისა
გამოვლინდა ბიზნესებსა და ადმინისტრაციას შორის სუსტი თანამშრომლობა და კოოპერაცია, მართალია ადგილი აქვს გარკვეულ კონტაქტებს მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს შორის, თუმცა ის არ არის სისტემატიური ხასიათის და საჭიროებს მეტ ურთიერთანამშრომლობას

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს სავაჭრო სამრეწველო პალატის გურიის რეგიონის წარმომადგენლობასთან, რომლის მიზანს მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრი 30-მდე მეწარმე სუბიექტია, ისინი მიმდინარე წელს გაწევრიანდნენ სავაჭრო სამრეწველო პალატაში და მათ ამით მიეცათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმებში, მოიძიონ და დაამყარონ კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან, ასევე სავაჭრო სამრეწველო პალატა ეხმარება მათ საქმიანობაში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაში, საკუთარი პრობლემების შესაბამის ადრესატამდე მიტანაში და მოგვარებაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს მუნიციპალური შესყიდვების გამჭვირვალე ონლაინ პლატფორმა, რომელსაც ხელმძღვანელობს შესყიდვების სამსახური. მერია აღნიშნული სამსახურით უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, შესყიდვებში მონაწილეთა მიმართ სამართლიანი არადისკრიმინაციული მიდგომის და საჯაროობის უზრუნველყოფას.
მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს სხვადასხვა მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურში 2015-2017 წლებში დაფინანსდა 52 ბიზნეს იდეა შემდეგი მიმართულებებით: მეფუტკრეობა, ყველის წარმოება, ჩირის წარმოება, სოკოსა და მარწყვის მოყვანა სასათბურე მეურნეობაში, სამაცივრე მეურნეობა, მემწვანილეობა, ავტოსამრეცხაო საქმიანობა და სხვა. დაფინანსების ჯამურმა თანხამ შეადგინა 114000 ევრო. მაგრამ მიუხედავად ზემოთ მოყვანილი წარმატებული მაგალითებისა კერძო სექტორსა და ადმინისტრაციას შორის არ არის პერმანენტული სახის თანამშრომლობა, არ ხდება შეხვედრების ორგანიზება, სადაც შესაძლებელია განხილულ იქნას კერძო სექტორის წინაშე მდგარი პრობლემები და საჭიროებები, მათთვის არ ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-სემინარები. თუმცა ადმინისტრაციაში არის მაღალი მზაობა და სურვილი კერძო სექტორის განვითარების კუთხით, რასაც ხელს უწყობს ნაკლები ბიუროკრატია და არსებული თავისუფალი ბიზნესგარემო.
მუნიციპალიტეტი აწარმოებს გარკვეული ხარისხის დიალოგს ადგილობრივ ბიზნეს თემთან. დიალოგი შეეხება საერთო ინტერესის საკითხებს, თუმცა მცირეა შედეგებზე ორიენტირებული ინიციატივები.

ცხრილი 4: ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები

(ზრდის) სექტორი (ქვე-სექტორი)	*ძირითადი გამოწვევები, რომელთა დასაძლევად სავარაუდოდ აუცილებელია ბიზნესის დახმარება*
სექტორი - სოფლის მეურნეობა: ქვე სექტორები - თხილი, მეღვინეობა, მეციტრუსეობა, მეფუყკრეობა, მეცხოველეობა მეჩაიეობა, მეთევზეობა	მავნებლების (აზიური ფაროსანა) ზიანი; ფინანსების სიმწირე; თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა; მიღებული პროდუქციის ხელსაყრელ ფასად რეალიზაცია.
სექტორი - სამრეწველო საქმიანობა: ქვე სექტორები : მინერალური და მტკნარი წყლები, მცირე ჰესი; ხილის გადამუშავება; ხე ტყის მოპოვება გადამუშავება; თხილის გადამუშავებ; ბლოკის წარმოება; პურის წარმოება; მეტალო პლასმასის წარმოება; ხე ტყის გდამუშავება; ხის და ლამინატის ავეჯის დამზადება; რკინის კონსტრუქ. წარმოება	ინვესტორების დაბალი ინტერესი, რაც ხელს უშლის სექტორის ზრდა-განვითარებას; ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომლობა (გრძელვადიანი იაფი კრედიტი)
სექტორი - საცალო ვაჭრობა ქვე სექტორები: მცირე ტიპის სავჭრო ობიექტები/მაღაზიები	არასასოფლო სამეურნეო მიწაზე შეზღუდული ხელმისაწვდომლობა; ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა (გრძელვადიანი იაფი კრედიტი)
სექტორი - ტურიზმი	მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა კურორტებსა და ღირსშესანიშნაობებზე; სასტუმროებისა და ჰოსტელების სიმცირე; ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არარსებობა; განუვითარებელი ტურ მარშუტები.
სექტორები: სასტუმროები	რაოდენობრივად მცირე (ცოტა) სასტუმროები; არსებული სასტუმროები უმეტესად საშუალოზე დაბალი ხარისხისაა.

6.4 წვდომა ფინანსებზე

მუნიციპალიტეტში კერძო სექტორისათვის ფინანსების მოძიების სამი ძირითადი შესაძლებლობაა, ესენია: საბანკო სექტორის მიერ გაცემული სესხები, მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები და დონორი ორგანიზაციების გრანტები. კერძო სექტორისათვის საბანკო სესხის აღების პირობები არ არის მორგებული მათ შესაძლებლობებზე. კერძოდ: 5000 ევროს ზევით მოითხოვება უზრუნველყოფა უძრავი ქონების სახით, სადაც გასაცემი სესხის რაოდენობა მოთხოვნილი უზრუნველყოფის 80%-ია. ხოლო უძრავი ქონება არა საბაზრო, არამედ ლიკვიდური ღირებულების მიხედვით გამოითვლება, რაც უფრო მეტად ამცირებს ქონების ღირებულებას თუმცა საბაზრო ფასის მიხედვით გამოთვლისასაც კი უძრავი ქონების ფასი იმდენად დაბალია მუნიციპალიტეტში, რომ ბიზნესისთვის საჭირო საშუალო და მსხვილი დაკრედიტება თითქმის შეუძლებელია. ასევე მეორე შემაფერხებელი ფაქტორი მაღალი საპროცენტო განაკვეთია.

უკეთესი მდგომარეობაა start-up ბიზნესის, მცირე 9000 ევრომდე დაკრედიტების კუთხით, სადაც მთავარი ბიზნეს იდეის კონკურენტუნარიანობა, შესაბამისი ბიზნეს გეგმა და მსესხებლზე მიმდინარე დავალიანების არქონაა. ყველაზე მოთხოვნადი და შესაბამისად მიწოდებული პროდუქტი მცირე, 1700 ევრომდე, სამომხმარებლო სესხებია, სადაც გირავნობა არ მოითხოვება. ასევე გაიცემა მცირე აგრო სესხებიც 1700 ევრომდე სამომხმარებლო სესხის პირობებით.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დამწყები, მიკრო და მცირე მეწარმეთათვის არის შესაძლებლობა მათი განვითარებისათვის, სადაც დაფინანსება გრანტის სახით ხდება 6700 ევროს ფარგლებში 20% -იანი თანამონაწილეობით.

არსებობს დონორების მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება და საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბების შეზღუდული გამოცდილება. მუნიციპალიტეტი შერჩეულ იქნა დონორების ერთზე მეტ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ცხრილი 5: ფინანსების ხელმისაწვდომობა

დაწესებულება/ დონორი ორგანიზაცია (მათ შორის, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები)	კლიენტები/ბენ ეფიციარები	სასურველი ეკონომიკური სექტორები/საქმიანობები	მინიმალური და მაქსიმალური თანხა, რომელიც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს	მოთხოვნები (სესხის უზრუნველყოფა, სხვა)
ბანკები	ადგილობრივი მოსახლეობა; კერძო სექტორი	სოფლის მეურნეობა; სამრეწველო საქმიანობა; საცალო ვაჭრობნა	5000 ევრომდე უზრუნველყოფის გარეშე. 5000 ევროს ზევით მოითხოვება უზრუნველყოფა	უძრავი ქონება. ამ ქონების ღირებულების მაქსიმუმ 90% გაიცემა სესხის სახიტ
აწარმოე საქართველოში	ადგილობრივი მოსახლეობა; მიკრო და მცირე მეწარმეები.	სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგები, სამრეწველო საქმიანობა, სასტუმროები, და საცალო ვაჭრობა.	6700 ევროს ფარგლებში. 20% თანამონაწილეობის პირობით.	გრანტი, მოთხოვნილი თანხის 20% თანამონაწილეობით.
ENPARD საქართველოში	სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა	სასოფლო სამეურნეო სექტორი	16700 დან 33300 ევრომდე	ნაწილობრივ უკან დაბრუნებადი.

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში არსებობს აქტივებისა და ქონების მართვის გარკვეული ხარისხის შესაძლებლობები, შედეგად მიმდინარეობს მუნიციპალური აქტივების და ქონების სტატუსის განახლებაზე მუშაობა. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის სასურველია შესაბამისი კვლევების ჩატარება მუნიციპალური აქტივების პოტენციალის აღმოსაჩენად და მიზნობრივი საინვესტიციო შეთავაზებების შესაქმნელად. ჩვენი მონაცემებით მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ასათვისებელი სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი 9948 ჰექტარია, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, გამომდინარე აქედან შედარებით გართულებულია მისი განკარგვა იჯარით გაცემის, გაქირავების და გასხვისების კუთხით. მზარდ მოთხოვნასთან შედარებით მწირია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი (4602 კვ.მ) და შენობების

რაოდენობა. კერძო სექტორის მოთხოვნა ძირითადად არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, სავაჭრო, საწარმოო და საოფისე ფართზეა რაც მნიშვნელოვნად აღემატება შესაძლო მიწოდებას. ინფრასტრუქტურის კუთხით დაბაში სრულად მოასფალტებულია გზები და უზრუნველყოფილია წყლით, გაზით და ელ. ენერგიით. ყველა სოფელი ელექტროფიცირებულია, ხოლო სოფლების უმეტესობას გააჩნია გაზის და წყლის მიწოდება. სოფლების უმეტესობაში გზები რეაბილიტირებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბის საკანალიზაციო სისტემა, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაბის ცენტრალურ ნაწილს არის ამორტიზირებული და თავის ფუმქციას სრულყოფილად ვერ ასრულებს. ამ კუთხით გამოწვევებია კურორტ ბახმაროში, რაც ცენტრალური წყლის სისტემის, გაზიფიცირების და საკანალიზაციო სისტემების არ არსებობაში გამოიხატება. მოუწყობელია რიგ ღირსშესანიშნაობებზე მისასვლელი გზებიც, რაც საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს მნიშვნელოვნად ამცირებს. ცხრილი6: კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში (დანართი N1)

6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ცხრილი 7: საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

აღიარებული მარეგულირებელი გამოწვევები	ძლიერი/სუსტი უარყოფითი ზეგავლენა	მთავარი მონაწილე საჯარო უწყება	ადგილობრივი შერბილების/გაუმჯობესების მასშტაბი (დეტალები)
1. ადგილობრივი მოსაკრებლების (ნარჩენების) ამოღების არაეფექტური მექანიზმი	მოსაკრებლების არასრულყოფილი ადმინისტრირება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	მოსაკრებლების ამოღების ეფექტური მექანიზმის შემუშავება დანერგვა

კერძო სექტორთან LED გეგმის შემუშავების შეხვედრის დროს შენიშვნები მარეგულირებელი და ინსიტუციონალური ჩარჩოს, როგორც ხელშემშლელი ფაქტორი არ გამოვლინდა. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნევა მოქალაქეთათვის ერთი ფანჯრის პრინციპით საქმის წარმოება, საკრებულოს სხდომების ღიაობა, რომლის ტრანსლიაციაც ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს, შშმპ მომუშავე მერის სათათბირო ორგანოს და მერის მრჩეველთა საბჭოს არსებობა. ხოლო სუსტ მხარედ გადაწყვეტილებების დაგეგმვის პროცესში საზოგადოების პასიურობა და ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების არაეფექტური მექანიზმი მიიჩნევა.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

სამუშაო ჯგუფმა და პარტნიორობამ უნარების საკითხებზე მუშაობის შედეგად გამოავლინა, რომ მსხვილ და საშუალო საწარმოებს, რომელებიც რამდენიმეა მუნიციპალიტეტში, ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა არ გააჩნია. მათ მიერ იშვიათ შემთხვევაში გამოცხადებული ვაკანსიები, სამუშაოს მაძიებელთა მაღალი რიცხვის გამო მალევე ივსება. ასევე გამოვლინდა, რომ მიუხედავად სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის მაღალი რიცხვისა მეურნეობების პროდუქტიულობა დაბალია, რაც გამოწვეულია ამ სფეროში შესაბამისი უნარჩვევებისა და სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნით.

ცხრილი 8ა: კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაცია

სექტორი	*უნარ-ჩვევების კუთხით არსებული მდგომარეობა*	*სავარაუდო სამომავლო მდგომარეობა*	*ქმედების შესაძლო მიმართულებები*

(დასარიგებელი მასალა 1-ის თანახმად)	*(მაგ., მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა)*	*(მაგ., მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა)*	
სოფლის მეურნეობა	არასაკმარისი უნარჩვევები	გაუმჯობესებული უნარები	სწავლებები და ინფორმაციული უზრუნველყოფა

ცხრილი 8ბ: როგორია ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ბალანსი - სისტემური ანალიზი

სამუშაოს განხორციელების მეთოდების ძლიერი მხარეები	*მნიშვნელობის რეიტინგი (1-5)*	*სამუშაოს განხორციელების მეთოდების სუსტი მხარეები*	*მნიშვნელობის რეიტინგი (1-5)*
სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა დაკავებულია სოფლის მეურნეობაში	4	თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უნარჩვევების არასაკმარისი ცოდნა	4
სამუშაოს განხორციელების გაუმჯობესებული შესაძლო მეთოდები			
სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის სწავლებები და ინფორმაციული უზრუნველყოფა			

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

გეგმის შემუშავებისას გამართულ შეხვედრებზე ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტის იმიჯზე და გარე პოზიციონირების შესაძლებლობაზე დადებითად მოქმედ ფაქტორებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ევროპაში ყველაზე მაღალი კურორტი ბახმარო, უნიკალური გამაჯანსაღებელი მთისა და ზღვის ჰავის ნაზავით, რომელსაც გააჩნია რესპირატორული დაავადებების გამაჯანსაღებელი თვისებები. იგი ზღვის დონიდან 2050 მ სიმაღლეზეა განლაგებული. კურორტის ტურისტული პოტენციალი საკმაოდ დიდი და მზარდია. კურორტ ბახმარო დღემდე ცნობილი იყო, როგორც ზაფხული შემოდგომის კურორტი, ხოლო უკვე მეორე წელია ბახმარო წარმოჩნდა როგორც ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტი. 2016 წლიდან იქ ზამთრის განმავლობაში სათხილამუროდ ადის მრავალი უცხოელი ტურისტი და კურორტის შესაძლებლობები როგორც სათხილამურო კურორტი, შესაბამისი ექსპერტების მხრიდან (ფერდობების განლაგება თოვლის ხარისხი და ას.შ) ფასდება უაღრესად დადებითად და პერსპექტიულად. თოვლის ხარისხი, ხეობის ტოპოგრაფია და ფერდობების განლაგება იძლევა მრავალი ზონების განვითარების შესაძლებლობას. მთავრობის გადაწყვეტილებით მომავალ წელს კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დაიხარჯება 0,8 მლ. ევრო.

ბახმაროში რამდენიმე ათეული წელია ტრადიციულად ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით იმართება დღე და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებები, რითიც სეზონის დასრულება აღინიშნება. სეზონზე დაახლოებით 15000-18000 დამსვენებელი და ვიზიტორი აღირიცხება. მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებით.

გურიაში ოდითგანვე მაღალ დონეზე იყო განვითარებული მევენახეობა და მეღვინეობა. ამის უტყუარი დასტური, სხვა ფაქტორებთან ერთად, ვაზის ადგილობრივ ჯიშთა მრავალფეროვნებაცაა. აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის დათვლით, აქ 59 ვაზის ჯიში არსებობდა, რომელთაგანაც ჩვენი წინაპრები მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან ღვინოებსა და სუფრის ყურძენს აწარმოებდნენ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი არის ადგილი სადაც

ათეულობით ენდემური ჯიშის ვაზი ხარობს, მათ შორისაა გურიის სიმბოლოდ ცნობილი ვაზი ჩხავერი, რომლის ღვინოებმაც დიდი აღიარება ჰპოვეს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე რაც, სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე მიღებულ ოქროს მედლებში გამოიხატება. გურული ღვინოები განსაკუთრებული არომატით, ბუკეტით, ხავერდოვნებით, სინაზით გამოირჩევიან. ასევე მაღალი გემოვნური თვისებებით, გარეგნული სილამაზით, შენახვის უნარიანობით და ტრანსპორტაბელობით გამოირჩევიან გურული სუფრის ყურძნებიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. დღეს, მიზეზთა გამო, განთქმული ადგილობრივი ჯიშების ადგილი, უმეტესწილად დაბალხარისხოვან ჰიბრიდებს: „ნოას“, „იზაბელას“ ("ადესა") და სხვებს უკავიათ. აქედან გამომდინარე, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი და შესაბამისად, შესწავლილიც გურიის აბორიგენული ვაზის ჯიშებისა და მათგან მიღებული ღვინოების თვისებები. მიუხედავად ენდემური ვაზის მეღვინეობის მაღალი ეკონომიკური პოტენციალისა ის არასაკმარისადაა განვითარებული, პოპულარიზებული და გავრცელებული, რაც ამ კუთხით ხელშემწყობი საქმიანობების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს.

როგორც აღინიშნა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საწარმოა სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი". კომპანიას თავისი პროდუქცია ექსპორტზე 30 ქვეყანაში გააქვს. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხილის გადამამუსავებელი საწარმო „ნენა“. საწარმო მოიხმარს ადგილობრივ ნედლეულს, მიღებული პროდუქცია, როგორიცაა კომპოტები, მურაბები და ჯემები იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე გადის ექსპორტზე საზღვარგარეთ. აღნიშნული ბრენდები ერთგვარი სავიზიტო ბარათია საზღვარგარეთ, რაც ზრდის მუნიციპალიტეტის ცნობადობას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებთან ერთად ახორციელებს ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებულ პროექტს „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“. პროექტის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების და ეროვნული სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევით გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ყოვლისმომცველი განვითარების ხელშეწყობა რეგიონის მიმზიდველობის გაზრდის გზით. პროექტის ფარგლებში რეგიონის ტურისტული ცნობადობის გაზრდის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები კერძოდ, გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ჩატარდა ფესტივალები, შექმნილია ვებ გვერდი სადაც დატანილია ტურისტებისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია და ტურისტული მარშრუტები მუნიციპალიტეტის და გურიის რეგიონის მასშტაბით, ასევე პროექტის ფარგლებში გაიცემა მცირე გრანტები და იგი ხელს შეუწყობს გურიაში ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, დაგროვილი ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ისეთი უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გურიის რეგიონში ტურიზმის როგორც ეკონომიკის დარგის პროგრესს. მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში გაიცა 9 გრანტი, ჯამური დაფინანსება 22 ათასი ევროა.

საქართველოს აქვს ძალიან მოქნილი და ყოვლისმომცველი კანონმდებლობა, რომელიც ქმნის ბიზნესისადმი მეგობრულ გარემოს და ინარჩუნებს ჯანსაღ საინვესტიციო კლიმატს, რაზეც მეტყველებს მსოფლიო ბანკის შეფასება ბიზნესის კეთების კუთხით, სადაც საქართველომ მე-9 ადგილი დაიკავა 190 ქვეყანას შორის. აქ მოქმედებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). საქართველო რეგიონში არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობა როგორც ევროპასთან, ასევე ჩინეთთან.

მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მასშტაბით განახლებადი ენერგიის გამომუშავებაში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელეკტროსადგურების მეშვეობით.

შეხვედრებზე წარმოჩენილი იქნა მუნიციპალიტეტის პოზიციონირებაზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორებიც, როგორიცაა: დაბაში ამორტიზირებული საკანალიზაციო სისტემა, კურორტ ბახმაროში ცენტრალური წყლის სისტემის, გაზიფიცირების, და საკანალიზაციო

სისტემების არ არსებობა. მოუწყობელია რიგ ღირსშესანიშნაობებზე მისასვლელი გზებიც, რაც საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის ტურისტულ, საინვესტიციო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ცხრილი 9: როგორ აღიქვამენ მოქალაქეები თავის მუნიციპალიტეტს

მოწონებები/იდენტიფიცირებული ძლიერი მხარეები გარედან ჩვენ მიერ პროეცირებულ გამოსახულებაში	მნიშვნელობის ხარისხი (1-5)	რა არ მოწონთ/იდენტიფიცირებული სუსტი მხარეები გარედან ჩვენ მიერ პროეცირებულ გამოსახულებაში	მნიშვნელობის ხარისხი (1-5)
მოწესრიგებული შიდა გზები	5	დასაქმების დაბალი მაჩვენებელი	4
მშენებლობები (ხიდები, ბაღები, სკოლები, კულტურის სასახლე)	5	პირველადი წარმოების პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე	4
მინერალური და სამკურნალო წყლები	4	მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა კურორტებზე და ტურისტულ მიმართულებებზე	4
წყლის რესურსები მცირე ჰესებისათვის	4	პროფესიული სასწავლებლების არ არსებობა	5
კურორტები და საკურორტო ადგილები, ტურიზმის პერსპექტივა	4	მზარდი მიგრაცია	4
ტყის რესურსი	4	დაბალ მოსავლიანობა. (მავნებლების ცუდი ზეგავლენა აზიური ფაროსანა)	5
ვაზის გურული ენდემური ჯიშები, ჩაის თხილის კულტურები, თაფლი, ციტრუსი.	4	ხარისხიანი სასტუმროების არარსებობა	4
შესაძლო ქმედებები, რომლებიც მარტივად შეიძლება ჩაითვალოს			**გამოწვეულია**
მუნიციპალიტეტის პრომოუტირება-ბრენდირება, როგორც უნიკალური ადგილობრივი (გურული)ყურძნის ჯიშების ადგილი			არასაკმარისი პიარი
მუნიციპალიტეტის პრომოუტირება-ბრენდირება, როგორც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის და დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე.			არასაკმარისი პიარი
მუნიციპალიტეტის პრომოუტირება-ბრენდირება, როგორც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების მშობლიური მხარე.			არასაკმარისი პიარი

7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. მუნიციპალიტეტის სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ფოთის და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან და ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან 2. გარკვეულწილად განვითარებული და განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე დარგები: ენდემური ვაზის ჯიშების მევენახეობა, მეთხილეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთევზეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. 3. მაღალი ჰიდროენერგეტიკული, მინერალური, მტკნარი, სამკურნალო, რეკრეაციული და საწარმოო პოტენციალის მქონე წყლის რესურსი 4. კურორტ ბახმაროს განვითარების მზარდი პოტენციალი 5. კარგი პირობები სხვადასხვა სახის ტურიზმის განსავითარებლად - რეკრეაციული ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი და სხვა. 6. ტყის რესურსი მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის 65 %-ია. 7. მუნიციპალიტეტის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობები რომლებიც შეიძლება განვითარდეს. 8. მრავალფეროვანი კულტურული ღირსშესანიშნაობები. 9. ბიზნესისადმი მეგობრულ გარემო (ბიზნესში სახელმწიფოს ჩაურევლობა,ნაკლები ბიუროკრატია, მოქნილი კანონმდებლობა, ჯანსაღ საინვესტიციო კლიმატი) 10. დაბის 80% ში მოასფალტებულია გზები და უზრუნველყოფილია წყლით, გაზით და ელ. ენერგიით. ყველა სოფელი ელექტროფიცირებული, ხოლო სოფლების 40% გააჩნია გაზი და წყლის მიწოდება. 11. კომპანია „წყალი მარგებელი“ როგორც მუნიციპალიტეტის მთავარი ბრენდული ნაწარმი რომელიც ყველაზე მეტად მონაწილეობს ადგილობრივი ღირებულების დარიცხვის ჯაჭვში. 12. „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ (ტრენინგები, მცირე პროფესიული სწავლებები)	1. ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ქონებით უზრუნველყოფით. 2. მწირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ეკონომიკაში (საქ.სტატისა მონაცემებით ქვეყნის მაშტაბით 2009 წლიდან 2016 წლამდე არის 140% ზრდა, ხოლო რეგიონის მიხედვით ფიქსირდება 190 % კლება). 3. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა. 4. არასასოფლო სამეურნეო მიწაზე ხელმიუწვდომლობა განსაკუთრებით დაბის ცენტრში. 5. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავლიანობა. 6. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მაღალი ფრაგმენტაცია. 7. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა კურორტებსა და ღირსშესანიშნაობებზე. 8. კურორტ ბახმაროში და მუნიციპალიტეტის დაბაში სასტუმროებისა და ჰოსტელების სიმცირე. 9. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის. არარსებობა, განუვითარებელი ტურ მარშუტები. 10. არასაკმარისი გადამამუშავებელი საწარმოები 11. ბიზნეს სექტორსა და ადმიანისტრაციას შორის სუსტი თანამშრომლობა. სუსტია ბიზნესებს შორის კოოპერაციაც. 12. დასაქმების დაბალი მაჩვენებელი (სამუშაო ასაკის ადამიანთა 87% უმუშევარია. სამუშაო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 12006 -ია, დასაქმებულია 2325 ადამიანი) 13. ბიზნეს განათლების დაბალი დონე. 14. სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროში დარგობრივი სპეციალისტების ნაკლებობა. 15. მიგრაცია - სამუშაო ძალის გადინება (2006 და 2016 წლისთვის მოსახლობა შემცირებულია 17%-ით

	მიგრაციული ნაკადების გამო. საქ. სტატი). 16.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. დონორების საგრანტო პროგრამები **2.** საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა **3.** მეწარმეობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო სხვა პროგრამები (აწარმოე საქართველოში, დანერგე მომავალი, ENPARD საქართველოში). **4.** ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთთან **5.** ტურისტებში გაზრდილი ცნობადობა კურორტ ბახმაროსა და მუნიციპალიტეტის სხვა ტურისტული პოტენციალის შესახებ. **6.** ვაზის ენდემური ჯიშების მეღვინეობა. **7.** ახალი პროფესიული სასწავლებელი. **8.** მუნიციპალიტეტის მზაობა ითანამშრომლოს კერძო და არასამთავრობო სექტორთან. **9.** ინვესტორების დაინტერესება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განუვითარებელი შენობა ნაგებობებით. **10.** გაზრდილი უცხოური ინვესტიციები.	1. ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის სფეროში კონკურენტული გარემო 2. სხვა მთიანი კურორტები, რომლებიც უფრო სწრაფად ვითარდებიან 3. აზიური ფაროსანას გავრცელების საშიშროება 4. სტიქიური მოვლენები 5. მიგრაციული პროცესები

SWOT-მა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი განავითაროს სოფლის მეურნეობის რიგი დარგები, აამაღლოს ტურისტული პოტენციალი ცნობილი კურორტებისა და ღირსშესანიშნაობების განვითარებით, ხოლო შედეგად გაზრდილი ბაზარი კერძო სექტორს მისცემს განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას.

მთავარი სისიუსტეების გადალახვისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან მეტი აქტიურობა კერძო სექტორისთვის ფინანსებზე ხელმისწვდომობის გაზრდის, ცნობადობის ასამაღლებლად შესაბამისი მარკეტინგული კამპანიის წარმართვის და ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით.

8. ხედვა და მიზნები

სამუშაო ჯგუფის მიერ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გეგმაში მოყვანილი თემატური ბლოკების შესაბამისი ანალიზის ჩატარებისა და დასკვნების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის ხედვა, რომელიც რეალისტურია. დასახული იქნა შესაბამისი მიზნები და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროექტები და ღონისძიებები.

ხედვა - ჩოხატაური საცხოვრებლად და ტურისტებისთვის მიმზიდველი მუნიციპალიტეტია, სადაც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა და განვითარებულია მცირე და საშუალო ბიზნესი.

მიზანი 1 - სოფლისმეურენეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი 2 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

9. სამოქმედო გეგმა

ცხრილი 11: სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკი	ძირითადი მიზნები	ქმედება / პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	ჩართული პარტნიორები	სავარაუდო ხარჯები	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)
1. გარეპოზიციონირება და მარკეტინგი.	1. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.	1.1ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების ყოველწლიურად ჩატარება.	2019-2020	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი.	25000₾ 8500 €	**მყისიერი შედეგი:** ყოველწლიურად ტარდება ნოდარ დუმბაძისა და ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები ბახმაროში, ბაზიერობა, პასკისა და ხალხური რეწვის ფესტივალი **მონიტორინგის მაჩვენებლები:** ჩატარებული ღონისძიებებისა და დამსწრეთა რაოდენობა.	**საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტის გაზრდილი ცნობადობა. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობა (მათ შორის უცხოეთიდან).
2. მიწა და ინფრასტრუქტურა.		1.2 ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	2019-2020	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; რეგ ფონდი; დონორი ორგანიზაციები.	582500 ₾ 194200 €	**მყისიერი შედეგი:** ენდემური ჯიშის ვაზის ღვინის მარნებთან დაიგო ასფალტირებული მისასვლელი გზები, დაიგო ერისთავების ისტორიულ სასახლესთან და ტყე-პარკთან	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა და ვიზიტორთა რაოდენობა; გაზრდილია ადგილობრივ

						მისასვლელი გზა; კეთილმოწყობილია დენდროლოგიური პარკი და აღდგენილია ერისთავების ისტორიული სასახლე. **მონიტორინგის მაჩვენებლები:** დაგებული ღვინის მარნებთან და ერისთავების ისტორიულ სასახლესთან და ტყე-პარკთან მისასვლელი გზები; კეთილმოწყობილი პარკი და აღდგენილი სასახლე.	პროდუქტებზე და სერვისებზე მოთხოვნა; დასაქმებულთა რაოდენობა და ადგილობრივი შემოსავლები. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** ტურისტთა რაოდენობა; შემოსავლების მოცულობა; დასაქმებულთა რაოდენობა.
1.წვდომა ფინანსებზე. 2. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა.	2.სოფლის მეურენეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.	2.1 მოსახლეობის მხარდაჭერა მცირე სამეწარმეო და სასოფლოსამეურნეო გრანტების მოპოვებაში.	2019-2020	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება; ბენეფიციარები; სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და სხვა დონორები.	200000 ₾ 67000 €	**მყისიერი შედეგი:** დაფინანსებული პროექტები. **მონიტორინგის მაჩვენებლები:** დაფინანსებული პროექტების რაოდენობა..	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილია ადგილობრივი ეკონომიკა; შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** შექმნილი ბიზნესებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობა; შემოსავლების მოცულობა
		2. 2 . სოფლის მეურნეობის სფეროთ დაინტერესებულ	2019-2020	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-	72000 ₾ 24000 €	**მყისიერი შედეგი:** ჩატარებულია სოფლის მეურნეობის სფეროთ დაინტერესებული მეწარმეებისა და	**საბოლოო შედეგი:** ჩატარებული სწავლებების შედეგად ამაღლებულია ბენეფიციართა

		ი მეწარმეებისა და მოსახლეობის სწავლებები და ინფორმაციული უზრუნველყოფა.		საკონსულტაციო სამსახური; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება;		მოსახლეობის სწავლებები და გაწეულია შესაბამისი კონსულტაციები. **მონიტორინგის მაჩვენებლები:** ჩატარებულ სწავლებათა და ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა.	უნარჩვევები სოფლის მეურნეობის და ბიზნესის კეთების კუთხით. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც პრაქტიკაში იყენებენ ახალ უნარჩვევებს
		2.3 საინვესტიციო პაკეტების შემუშავება და პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზება.	2019-2020	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; დონორი ორგანიზაცია.	10000 ₾ 3300 €	**მყისიერი შედეგი:** გამოვლენილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობები და შექმნილია შესაბამისი პაკეტები ინვესტორთათვის. **მონიტორინგის მაჩვენებლები:** შექმნილი საინვესტიციო პაკეტების რაოდენობა.	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილი ინვესტიციები. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** ინვესტიციების რაოდენობა.

გეგმის განხორციელებაში ჩართულნი იქნებიან მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რეგიონალური განვითარების ფონდი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) „აწარმოე საქართველოში“, დონორი ორგანიზაციები.

10. დაფინანსების სქემა

ცხრილი 12: დაფინანსების სქემა

ქმედებები	*სავარაუდო ხარჯები*		*დაფინანსების წყარო*					*დაფინანსების დეფიციტი*	*შენიშვნები*
		ეროვნული პროგრამები	*ადგილობრივი ბიუჯეტი*	*ზედა დონის ბიუჯეტები*	*ბიზნესი*	*დონორები*	*სხვები (მიუთითეთ)*		
1.1ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.	25000 ₺ 8500 €		25000 ₺ 8500 €						
1.2 ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	582500 ₺ 194200 €		12500 ₺ 4200 €	250000 ₺ 83000 €		320000 ₺ 107000 €			
2.1 მოსახლეობის მხარდაჭერა მცირე სამეწარმეო და სასოფლოსამეურნეო გრანტების მოპოვებაში	200000 ₺ 67000 €	200000 ₺ 67000 €							
2. 2 . სოფლის მეურნეობის სფეროთ დაინტერესებული მეწარმეებისა და მოსახლეობის სწავლებები და ინფორმაციული უზრუნველყოფა	72000 ₺ 24000 €			72000 ₺ 24000 €					
2.3 საინვესტიციო პაკეტების შემუშავება და პოტენციური	10000 ₺ 3300 €					10000 ₺ 3300 €			

ინვესტორებისთვის შეთავაზება.									
Total	**889500 ₾** **297000 €**	**200000 ₾** **67000 €**	**37500 ₾** **12700 €**	**322000 ₾** **107000 €**		**330000 ₾** **110000 €**			

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც თვეში ერთხელ გაუწევს მონიტორინგს გეგმის განხორციელების პროცესს, ეფექტურობას და მიღებულ შედეგებს მონიტორინგის ინდიკატორების ცხრილი N 13-ის მიხედვით.

ცხრილი 13: ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.1ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.	07. 2019-10.2019 07. 2020-10.2020	საორგანიზაციო საკითხების მომზადება.	ჩატარდა დაგეგმილი ფესტივალები და ღონისძიებები.	2020 წლის ფესტივალების საორგანიზაციო საკითხების მომზადება.	ჩატარდა 2020 წელს დაგეგმილი ფესტივალები და ღონისძიებები. ინფორმაცია გავრცელებულია დაინტერესებული მხარეებისთვის ფესტივალში მონაწილეობის სესახებ
1.2 ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	03.2019-11.2019	შერჩეულ ლოკაციებზე გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოების შესრულებაზე.	დამთავრებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოები.	შერჩეულ ლოკაციებზე გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოების შესრულებაზე.	დამთავრებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2.1 მოსახლეობის მხარდაჭერა მცირე სამეწარმეო და სასოფლოსამეურნეო გრანტების მოპოვებაში.	05.2019-11.2019 05.2020-11.2020	გამოცხადებულია კონკურსები და გაგზავნილია შესაბამისი საკონკურსო წინადადებები.	გამოვლენილია კონკურსების საბოლოო ეტაპების გამარჯვებულები.	გამოცხადებულია კონკურსები და გაგზავნილია შესაბამისი საკონკურსო წინადადებები.	გამოვლენილია კონკურსების საბოლოო ეტაპების გამარჯვებულები.
2. 2 სოფლის მეურნეობის სფეროთ დაინტერესებული მეწარმეებისა და მოსახლეობის სწავლებები და ინფორმაციული უზრუნველყოფა.	03.2019-11.2019 03.2020-11.2020	ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სწავლებები და მიწოდებული აქვთ მათთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციები.	ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სწავლებები და მიწოდებული აქვთ მათთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციები.	ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სწავლებები და მიწოდებული აქვთ მათთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციები.	ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სწავლებები და მიწოდებული აქვთ მათთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციები.
2.3 საინვესტიციო პაკეტების შემუშავება და პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზება.	02.2019-12.2019 02.2020-12.2020	გამოცხადებულია ტენდერი და გამოვლენილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პაკეტების შემმუშავებელი სუბიექტი.	მომზადებულია საინვესტიციო პაკეტები.	შემუშავებული საინვესტიციო პაკეტების პოტენციურ ინვესტორებზე შეთავაზება.	მიღებული ინვესტიციები.
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		5%	40%	15%	40%